უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 09

20 19 წ. „19“ 03

ქ. თბილისი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №55 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს №55 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ტანსაცმლის დიზაინი	მეოთხე	ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **080377**	90	ქართული	51	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 1
2	კინოტელერეჟისორი	მეხუთე	კინოტელერეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **080151**	120	ქართული	25	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 1
3	სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტი	მეხუთე	სასტუმრო და საკურორტო მენეჯმენტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **112053**	70	ქართული	5	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2
4	ტურიზმის მენეჯმენტი	მეოთხე	ტუროპერატორის ტუროპერატორი (აგრო-, ეკო- და ა.შ. ტუროპერატორი) მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **112052**	70	ქართული	13	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი პროფესიული და/ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური/დონე	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი *(1)*	მეხუთე საფეხური	ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **030254**	111	141	ქართული	30	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N 11[ა]
							40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8
2	ბიბლიოთეკარი *(1)*	მეოთხე საფეხური	ბიბლიოთეკარის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **070852**	86	116	ქართული	40	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 11
3	საბაჟო საქმე *(1)*	მეხუთე დონე	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში **020368**	93	123	ქართული	30	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2
							40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8
4	შემფასებელი *(1)*	მეხუთე საფეხური	შემფასებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **020453**	121	151	ქართული	30	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2
							40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8
5	ტუროპერატორი *(1)*	მეხუთე საფეხური	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **112062**	114	144	ქართული	30	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2
6	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდი *(1)*	მეხუთე საფეხური	საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის გიდის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია **112063**	115	145	ქართული	30	ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2

7	საოფისე საქმე *(1)*	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში **020369**	59	89	ქართული	40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8
8	სატრანსპორტო გადაზიდვების ლოჯისტიკა *(1)*	მეოთხე დონე	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში **020371**	69	99	ქართული	40	ქ. ქუთაისი, ნიკეას მე-2 შესახვევი N 8

(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას;

(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.“

2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2019 წლის 19 მარტს.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 19 მარტის №4 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი